2022/2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პარტნიორი კოტ დ'აზურის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა 2022/2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA) (0-30)
2. მობილობის განხორციელების მოტივაცია (0-20)
3. კომპეტენცია რელევანტურ უცხო ენაში (0-20)
4. მოსალოდნელი გავლენა პროგრამაზე (0-10)
5. მობილობის მიღწევები (0-10)
6. თავსებადობა მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნენთან (0-10)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.